ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482408628

თარიღი:26/03/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის

გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის Nგ-49.4924018001 განკარგულებისა და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის Nგ-49.49240182 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2 - ის შესაბამისად.

3. ინფორმაცია განთავსდეს ვებგვერდზე www.eauction.ge .

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.

5.ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №1 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი